დეზინფორმაციის კვლევა და გაუვნებელყოფა საქართველოში

სოციალური მედიის მონიტორინგი და ანალიზი

საბოლოო მოხსენება

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

McCain Institute
Arizona State University

დეზინფორმაციის კვლევა და გაუვნებელყოფა საქართველოში

სოციალური მედიის მონიტორინგი და ანალიზი საბოლოო მოხსენება

აღწერა: საქართველოში დეზინფორმაციის კვლევა „არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან“ არსებულმა „საერთაშორისო ლიდერობის მაკკეინის ინსტიტუტმა“ სახელმწიფო დეპარტამენტის გლობალური ჩართულობის ცენტრისგან მიღებული ერთწლიანი გრანტის დახმარებით განახორციელა. სოციალური მედიის ქართულენოვან სეგმენტში რუსული დეზინფორმაციის გამოვლენისთვის „მაკკეინის ინსტიტუტმა“ Looking Glass-ის ციფრული ანალიზის ტექნოლოგია გამოიყენა. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ.მონაცემთა შესწავლამ და ანალიზმა შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოკვეთა: ფეისბუკის ქართულენოვან სეგმენტზე გამოვლენილი ანტი-დასავლური პროპაგანდის პოსტების 87% პრო-რუსულ, ანტი-ამერიკულ, ევროკავშირისა და ნატო-ს საწინააღმდეგო შინაარს შეიცავდა. კვლევისას ასევე გამოვლინდა, რომ ლიბერალური და დასავლეთზე ორიენტრებული მედია მუდმივად შეტევის ობიექტი იყო 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 2019 წლის აგვისტოში პროექტის დასრულებამდე. პროპაგანდისტული პოსტების უმეტეს ნაწილს ექსტრემის-ტულ-ნაციონალისტური ნარატივი ახასიათებდა. ასეთ პოსტებზე მოდიოდა მოწონებებისა და გაზიარების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებიც. ამ ნარატივის მქონე პოსტებში იკვეთებოდა ანტი-ლიბერალური, ჰომოფობიური, ნატო-სა და არასამთავრობო ორგანიზაციების საწინააღმდეგო ნარატივები. ექსტრემისტულ-ნაციონალისტური პოსტების ქვეშ დაფიქსირებულ კომენტართა დიდი ნაწილი სიძულვილის ენას, ძალადობისკენ მოწოდებასა და ანტი-დასავლურ გზავნილებს შეიცავდა.

დეზინფორმაციის გაუვნებელყოფის, ყალბი ამბების შესახებ ინფორმირების გაუმჯობესებისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის ინფორმაციის წყაროების გადამოწმების აუცილებლობის შესახებ მოწოდებისთვის ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა ტელეკომპანია „რუსთავი 2-თან“ ითანამშრომლა. სატელევიზიო ეთერის გამოყენებამ პროექტის გუნდს რუსული დეზინფორმაციის შესახებ მოპოვებული მონაცემების, ყალბი ამბების სანდო ინფორმაციისგან გამორჩევისთვის საჭირო ხერხებისა და მეთოდების ფართო აუდიტორიისთვის გაცნობისა და მიწოდების საშუალება მისცა.

ხანგრძლივობა: პროექტის განმავლობაში შესწავლილ იქნა 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე მოპოვებული მონაცემები. დამატებითად იქნა შესწავლილი 2019 წელს საქართველოში მნიშვნელოვანი მოვლებისას გავრცელებული ინფორმაცია.

არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტი/მაკკეინის ინსტიტუტი: ფრონ ნაზი (მთავარი მკვლევარი), ჰასან დავულჩუ (თანამკვლევარი), კალი შვალბი (პროექტის მენეჯერი), ადიტია როჰილა (ასისტენტი), ნითეშ საროდი (ასისტენტი).

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი: ნინო ევგენიძე (აღმასრულებელი დირექტორი), შოთა ღვინერია (მოხსენების ავტორი და უსაფრთხოების მიმართულების ხელმძღვანელი), ირინა გურული (დირექტორის მოადგილე), თამარ ხორბალაძე (საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი).

შინაარსი

შესავალი 4

წინათქმა 7

წყაროები 9

ტრადიციული მედია 9

სოციალური მედია 10

ანალიზის ეტაპები 11

ნარატივები 14

სიძულვილის ენა და ანტი-დასავლური პოზიციები . 19

დეზინფორმაციის უარყოფა 22

დეზინფორმაციის კვლევა და გაუვნებელყოფა საქართველოში: სოციალური მედიის კვლევის საბოლოო მოხსენება

შესავალი

ექსტრემისტებისა და ანტი-დასავლური ძალების მიერ სოციალური მედიის იარაღად ქცევა როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების საზოგადოებათა პოლარიზაციისა და ტრიბალიზაციის გამწვავების მიზეზი გახდა. ერთი შეხედვით, დახურულ და ღია საზოგადოებათა გლობალურმა დაპირისპირებამ ონლაინ სამყაროში გადაინაცვლა. ბევრი ფიქრობს, რომ ბრძოლის ამ ველზე უპირატესობა რუსეთის და ექსტრემისტული დაჯგუფებების მხარესაა, რის ძირითად მიზეზადაც ხშირად სახელდება ამ ძალების მიერ დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების ზედმიწევნით გათვლილი კამპანიების გამოყენება. წინამდებარე მოხსენება ნათელს ჰფენს რუსული და ექსტრემისტული ძალების კამპანიათა ნაწილს, რომელთა მიზანი საქართველოში ექსტრემისტული და ანტი-დასავლური განწყობების გაღვივება იყო. სახელმწიფო დეპარტამენტის გლობალური ჩართულობის ცენტრის მიერ მხარდაჭერილი ეს ერთწლიანი პროექტი სამ საფეხურად განხორციელდა: (1) დეზინფორმაციის, პროპაგანდის და მათი გამავრცელებელი საგარეო აქტორების მონიტორინგი და ამოცნობა; (2) სიყალბისა და დეზინფორმაციის წყაროების გამოვლენა და ანალიზი; (3) ყალბი ინფორმაციის უარყოფა სატელევიზიო ეთერისა და სოციალური მედიის მეშვეობით თბილისსა და ვაშინგტონში.

სოციალური მედიის პლატფორმებზე მოპოვებულ მონაცემებში ჩაღრმავებასთან ერთად აშკარა გახდა, რომ ბოტებისა და ტროლების უკან დამალულთა იდენტიფიცირებისა და დროის მოცემულ მონაკვეთში მათი გაუვნებელყოფისთვის საჭირო ფინანსური, ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსები არ გაგვაჩნდა. შესაძლებლობის მაქსიმუმი ჩვენთვის ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელების მოდელის, გზავნილებისა და წყაროების (ფეისბუკ-გვერდის, ვებგვერდის და ა.შ.) გამოვლენა იყო. კვლევამ აჩვენა, რომ რუს და ადგილობრივ ექსტრემისტთა დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიების ძირითადი ნაწილი მნიშვნელოვან დროს უთმობდა რუსეთისა და საქართველოს ისტორიული კავშირების ხაზგასმას. ამავე დროს, ისინი ცდილობენ ნატო-ს დაკნინებას, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის არასაიმედო პარტნიორისა და რუსეთის წინაშე უძლური ორგანიზაციის რეპუტაციის დამკვიდრებას. იქმნება წარმოსახვითი საფრთხეები, მიმდინარეობს ხალხის დარწმუნება, რომ ლგბტქ თემის უფლებათა დაცვა საქართველოს ტრადიციულ ღირებულებებისთვის, ხოლო დასავლეთთან ინტეგრაცია საქართველოს ეროვნული იდენტობისთვის საბედისწერო საფრთხეს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ სამიზნე აუდიტორიის ყველაზე სუსტი გამოხმაურებით ანტი-ამერიკული კამპანიები გამოირჩეოდა.

არ წყდება დებატები სოციალურ მედიაში რუსეთისა და ექსტრემისტული ჯგუფების აგრესიული კამპანიების განეიტრალების საუკეთესო ხერხებსა და მეთოდებზე. ნაწილი თვლის, რომ საუკეთესო მიდგომა დასავლური ღირებულებების მხარდამჭერი სოციალური მედიის კამპანიების ორგანიზება და ხელშეწყობა, ტროლებისა და ბოტების იდენტიფიცირებისა და გაუვნებელყოფისთვის საჭირო რესურსების მობილიზებაა. ამ გზის არჩევის შემთხვევაში, რუსეთის სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებთან ეფექტურად გასამკლავებლად დასავლეთის კონტრაქტორებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება დასჭირდებათ, რომელიც ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსების განვითარებისთვის საჭირო ინვესტირებისთვისაა საჭირო. კრემლის დეზინფორმაციასთან საბრძოლველად და სოციალური მედიაში დასავლური ღირებულებების ეფექტურად დაცვისთვის საჭირო ტექნოლოგიური საშუალებისა და ექსპერტული ცოდნის მქონე არაერთი სოციალური მედიის კომპანიაა. ერთ-ერთი მათგანია, ჩვენი პარტნიორი, Artis Looking Glass-ი. ფინანსური რესურსების სიმწირემ ამჯერად არ მოგვცა საშუალება ამ კომპანიის ხელში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები სრულფასოვნად გამოგვეყენებინა. გავრცელებულია დეზინფორმაციასა და ყალბ ამბებთან გამკლავების განსხვავებული მიდგომაც. დეზინფორმაციული კამპანიები ხშირად სამიზნე საზოგადოების სუსტი მხარეების ხაზგასმას და მათ ექსპლუატაციას ისახავს მიზნად. ამ მოცემულობას ეყრდნობა დეზინფორმაციასთან ბრძოლის ეს მიდგომა, რომლის მიხედვით მათთან პირდაპირ დაპირისპირების მაგივრად ასეთი კამპანიები უნდა იქნეს გამოყენებული როგორც შესაძლებლობა, დასავლეთის დახმარების პროგრამების მეთოდოლოგიის დასახვეწად და მიზნების დასაზუსტებლად, ამ დახმარების მიმღები ქვეყნების დემოკრატიული განვითარების უკეთ გააზრებისთვის.

სოციალურ მედიაში დეზინფორმაციისა და ყალბი ამბებების გავრცელებასთან გამკლავების გასაღები ამ მიდგომათა პარალელურ გამოყენებაში შეიძლება ვეძებოთ, სადაც ტექნოლოგიის გამოყენებას თან საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებებიც ერთვის. იმედი გვაქვს, ეს მოხსენება ანტი-დასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლის უკეთესად გააზრებაში დაგვეხმარება. მონაცემების შთამბეჭდავი რაოდენობიდან აზრის გამოტანისათვის და მოხსენების დაწერისთვის, მსურს, გულითადი მადლობა გადავუხადო შოთა ღვინერიას. მადლობა ჰასან დავულჩუს სოციალური მედიის ანალიზის ტექნოლოგიის Looking Glass-ის მეშვეობით მოპოვებული ძვირფასი ინფორმაციისთვის, რომელიც რუსული და ადგილობრივი დეზინფორმაციის გამოვლენაში დაგვეხმარა. განსაკუთრებული მადლობა კეილი შვალბეს პროექტის ხელმძღვანელობისთვის და საუკეთესო შედეგების მიღწევისთვის. პროექტი დღის სინათლეს ვერ იხილავდა Global Engagement Center-ის გულუხვი დახმარების გარეშე.

პატივისცემით,

ფრონ ნაზი

„საქართველოში დეზინფორმაციის გამოვლენა და გაუვნებელყოფის“ პროექტის ხელმძღვანელი
გლობალური განვითარების უფროსი დირექტორი,
ატლანტიკის საბჭოსთან არსებული მაკკეინის
საერთაშორისო ცენტრის ინსტიტუტი

საბოლოო მოხსენება

მოხსენება შეიცავს ინფორმაციას, რომელიც სოციალური მედიის ქართულენოვანი სეგმენტის ანალიზს ეყრდნობა

მოხსენების ავტორია შოთა ღვინერია,

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის

უსაფრთხოების მიმართულების ხელმძღვანელი

ავტორთა მიერ მოხსენებაში გამოთქმული აზრები შესაძლოა არ ემთხვეოდეს მათი დამსაქმებლების, ორგანიზაციის ან დონორის მოსაზრებებს.

წინათქმა

საქართველოში გავრცელებული ანტი-დასავლური დეზინფორმაციის გამოვლენისა და გაუვნებელყოფის პროექტი არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ASU) არსებული მაკკეინის საერთაშორისო ლიდერობის ინსტიტუტის, ASU-ს Looking Glass (LG)-ის (ციფრული მონიტორინგის თანამედროვე პროგრამის) და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის პარტნიორობის შედეგია.

პროექტის უმთავრესი მიზანი, ქართული საზოგადოების ყალბი ამბების და ინ-ფორმაციის სანდო წყაროების შესახებ ინფორმირებულობის ზრდის მეშვეობით პრო-რუსული და ანტი-დასავლური პრო-პაგანდის გამოვლენა და გაუვნებელყოფა იყო. სოციალურ მედიაში გავრცელებული დეზინფორმაციის გამოვლენითა და გამო-შკარავებით, შესაბამისი აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდებით, გაიზარდა საზოგადოების ინფორმირებულობა ყალბი ამბების შესახებ.

პროგრამა სამი ეტაპად განხორციელდა:
1. დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მონიტორინგი და გამოვლენა;
2. სიცრუისა და დეზინფორმაციის კლასი-ფიკაცია და ანალიზი;
3. ცრუ ინფორმაციის გამოაშკარავება და უარყოფა ტელევიზიისა და სოციალური მედიის მეშვეობით.

საქართველოს ციფრულ გარემოში გზავნილების, წყაროების და ტენდენციების გამოვლენისთვის ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა Looking Glass-ის მონიტორინგის ტექნოლოგია გამოიყენა. არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შექმნილი Looking Glass-ი პრო-რუსული, ანტი-დემოკრატიული და ანტი-დასავლური განწყობებისა და ყალბი ამბების გავრცელების პროპაგანდის წყაროების, ტენდენციების, თემების გამოვლენის საშუალებაა.

Looking Glass-ის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებისთვის, პროექტის დაწყებამდე საგანგებოდ გადამზადდნენ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის თანამშრომლები. ტრენინგებზე შეძენილ ცოდნასა და უნარებზე დაყრდნობით, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის თანამშრომლებმა უზრუნველყვეს 160 სოციალური მედიის პროფილისგან შემდგარი მატრიცის შექმნა, რომელშიც შევიდნენ საქართველოს მრავალფეროვანი საინფორმაციო სივრცის სხვადასხვა შეხედულებების მქონე წარმომადგენლები - ულტრა-ნაციონალისტური იდეოლოგიის მიმდევართაგან ულტრა-ლიბერალებამდე - პიროვნებები, ჯგუფები და ორგანიზაციები. ყურადღებით შეირჩა ოცდაერთი კრიტერიუმი, რომლებსაც პრო-რუსული და ანტი-დასავლური პროპაგანდის ფარული ტენდენციები უნდა გამოევლინა. პროექტის მიმდინარეობასთან ერთად შეცვლილი პოლიტიკური გარემო შესაბამისად ისახებოდა მატრიცაშიც. საბოლოოდ, Looking Glass-ის მონაცემთა ბაზაში შეყვანილ კრიტერიუმთა რიცხვი 300-მდე გაიზარდა.

წყაროები

ტრადიციული მედია

პროექტის დაწყებისას მოხსენებაზე მომუშავე მკვლევართა ჯგუფმა ქართულ ტრადიციულ მედია საშუალებებში არსებული ძირითადი ტენდენციები შეისწავლა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ლიბერალური და დასავლური ღირებულებების ერთგულ მედიაზე რადიკალი ნაციონალისტების მიერ უწყვეტი შეტევა იყო, რომელიც სათავეს 2018 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიისას იღებდა. ჟურნალისტებსა და რეპორტიორებს თავს ესხმოდნენ რადიკალ მემარჯვენეთა ჯგუფები, კიბერ-ბულერები, ტროლები და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები[1].

ამ ტენდენციის ნაწილია, მთავრობისადმი ღია მხარდაჭერით ცნობილი საქართველოს სიდიდით მეორე კერძო სატელევიზიო არხ „იმედის" მიერ მის ვებსაიტზე და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე დასავლური ცხოვრების წესისადმი დისკრედიტაციული და რუსეთის ირიბად მხარდამჭერი მასალების გახშირებული გამოქვეყნება. ერთ-ერთი ასეთი მასალა იყო ვიდეო, სადაც ძველი რუსული „ვოლგა" უახლესი „ტესლას"[2] მოდელს ბუქსირით მიათრევდა. ასევე განცხადებები, რომელიც ვლადიმერ პუტინს ეკუთვნის და რომლებიც რუსეთის უწყინარობაში გვარწმუნებს.[3] ამ ეტაპზე მტკიცებულებები არ გვაძლევს საშუალებას, "იმედის" სამაუწყებლო პოლიტიკის რადიკალური ცვლილება ვამტკიცოთ, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ "იმედის" ექსპერიმენტები ერთგვარი ტესტია რუსეთისადმი მეგობრულ საინფორმაციო პოლიტიკაზე მოსახლეობის რეაქციის შემოწმებისა.

უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიისადმი ავტოკეფალიის მინიჭების მიუღებლობისა და დაუშვებლობის რუსული პროპაგანდისტული ხაზის მხარდაჭერით გამოიჩინეს თავი ღიად პრო-რუსულმა ტელევიზია „ობიექტივმა" და საქართველოს საპატრიარქოს არხმა "ერთსულოვნებამ". სატელევიზიო არხის წამყვანებისა და სასულიერო პირთა მიერ დაფიქსირებული პოზიცია ზედმიწევნით ემთხვეოდა საკითხისადმი ოფიციალური მოსკოვის მიდგომას. ამ კამპანიის ძირითადი მიზანი ქართულ საზოგადოებაში იმ აზრის დამკვიდრება იყო, რომლის თანახმად საქართველოს საპატრიარქოს მიერ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შემთხვევაში რუსეთი აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის აღიარებით გვიპასუხებდა.[4]

1 https://1tv.ge/en/news/irakli-kobakhidze-rustavi-2-carrying-policy-russian-style-brainwashing/

2 https://imedinews.ge/ge/tabloidi/95729/rusulma-volgam-amerikuli-tesla-buqsirit-tsaikvana

3 https://imedinews.ge/ge/msoflio/97255/vladimer-putini-ruseti-aravis-emuqreba

4 https://tinyurl.com/yxabmhdc

სოციალური მედია

სოციალური მედია, განსაკუთრებით კი ფეისბუკი, რომელიც საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური მედიის პლატფორმაა, ტრადიციულ მედიაში გავრცელებულ დისკურსს ასახავდნენ. LG-ის მეშვეობით მოპოვებულმა მონაცემებმა გვაჩვენა, რომ საქართველოს საინფორმაციო სივრცეში, ტრადიციულსა და სოციალურ მედიაში, ინფორმაცია ორი განსხვავებული კორელაციით ხასიათდება. რიგ შემთხვევებში, სოციალური მედია ტრადიციულ მედიაში განთავსებული ინფორმაციის გავრცელებისა და ამფლიფიკაციის ფუნქციას ასრულებს. სხვა შემთხვევებში, სატელევიზიო არხების ჟურნალისტები მათთვის საყურადღებო ინფორმაციას სოციალური მედიის მეშვეობით მოიპოვებენ და ამ ინფორმაციას მათი სამაუწყებლო პოლიტიკის შესაბამისად ავრცობენ. ყველა მედია საშუალებიდან LG-ის მეშვეობით მოპოვებული მონაცემთა პირველადი რაოდენობა მისი ანალიზისთვის აუცილებელ ხელმისაწვდომ რესურსებს მნიშვნელოვნად აღემატებოდა, შესაბამისად, პროექტის გუნდმა პრიორიტეტი სოციალური მედიის მეშვეობით გავრცელებული დეზინფორმაციის მონიტორინგსა და ანალიზს მიანიჭა. ანალიზისთვის საკმარისი მონაცემთა რაოდენობა ვერ შეგროვდა ტვიტერზე, ამიტომ მონაცემთა ძირითადი წყარო ფეისბუკი გახდა, რომელზეც პროექტის გუნდმა ანტი-დასავლური პროპაგანდის გავრცელებაში ჩართული 55 გვერდი გამოავლინა (იხ. სურ. 1).



სურათი 1: სოციალურ მედიაში ანტი-დასავლური პროპაგანდის გავრცელების ყველაზე აქტიური წყაროები

ანალიზის ეტაპები

პროექტის პირველ ეტაპზე, მოხდა იმ მონაცემების ანალიზი, რომლებიც დეზინფორმაციის გამავრცელებელ ფეისბუკის გვერდებსა და მათთან დაკავშირებული ვებსაიტების 2017 წლის 1 იანვარსა და 2018 წლის 31 დეკემბერს შორის დაფიქსირებულ აქტივობას ეხებოდა. ეს მონაცემები მოიცავდა დეზინფორმაციის წყაროს, საკუთრივ გზავნილს და მათ გავრცელებასთან დაკავშირებულ რიცხვებს, მოწონებებს, გაზიარებებს და ა.შ.). პირველ სურათზე ნაჩვენები 55 პროპაგანდისტული გვერდის (რომელთა გამომწერთა ჯამი 892 000-ს სცდება) 61905 პოსტიდან, 21048 პოსტი (34%) პროექტის გუნდის მიერ იდენტიფიცირებულ დეზინფორმაციის 15 ყველაზე ხშირად განმეორებად თემატიკას ეხება. მიუხედავად, პოსტების მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 34%-სა, ამ პოსტებზე მოწონებებისა და გაზიარების 55% მოდის, რაც ამ პოსტების სოციალურ მედიის მომხმარებელთა შორის განსაკუთრებულ პოპულარობაზე მიუთითებს.

LG-იმ მისი მეშვეობით მოპოვებული მონაცემების სხვადასხვა კუთხითა და პერსპექტივით ანალიზის განუსაზღვრელი შესაძლებლობები შემოგვთავაზა. შესაბამისად, პროექტის გუნდს მიეცა შესაძლებლობა გამოერჩია და დაეზუსტებინა პროპაგანდისტული პოსტების თემატიკა, მათი კონტენტი, რეზონანსი და რელევანტურობა, დაეხვეწა მათ საფუძველზე შექმნილი მონაცემები. გაწეული სამუშაოს შედეგად, მონაცემთა ბაზას გამოაკლდა დეზინფორმაციის 12 წყარო, რომლებიც კონტენტის მცირე რაოდენობით და მომხმარებელთა ინტერესის ნაკლებობით გამოირჩეოდნენ, რამაც შესასწავლ პროპაგანდისტულ გვერდთა რიცხვი 43-მდე შეამცირა. შეირჩა პროპაგანდის 15



სურათი 2: 43 დეზინფორმაციული ფესბუკ გვერდის პოსტების რაოდენობრივი გადანაწილება ოთხი თემატური პოზიციის მიხედვით (2017 წლის 1 იანვარიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე).

თემა, რომლებიც გადაჯგუფების შემდეგ 6 თემად გაერთიანდა.

ანალიზის საბოლოო ეტაპზე, მკვლევართა გუნდმა ცვლადები სამ კატეგორიად დაჰყო:

1. **პროპაგანდისტული პოზიცია:** ზოგადი ნარატივი, რომლის ქვეშაც დეზინფორმაციული გვერდები პროპაგანდის სპეციფიურ თემებს ეხებიან. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის თხოვნით, LG-მა 2019 წლის პირველი 9 თვის პრო-რუსული, ევროკავშირის საწინააღმდეგო, ანტი-ნატო და ანტი-ამერიკული პროპაგანდისტული პოზიციების შესახებ დამატებითი მონაცემები მოგვაწოდა: ამ პროპაგანდისტულ პოზიციებზე 43 დეზინფორმაციული გვერდის პოსტების 87% მოდიოდა.
2. **ხშირად განმეორებადი პროპაგანდისტული თემები**
   პროექტის გუნდმა გამოავლინა და გამოააშკარავა 11 პროპაგანდისტული

თემა, რომლებიც 4 პროპაგანდისტულ პოზიციას შეუფარდა (სურ. 3). პოსტების რაოდენობით პირველ ადგილზე პრო-რუსული პოზიციებია, შედარებით იშვიათად ვხვდებით ანტი-ამერიკული პოზიციის პოსტებს. შესწავლის პერიოდში მსგავსი სიხშირით გამოირჩეოდნენ ანტი-ევროპული და ნატო-ს საწინააღმდეგო პოსტები.

3. **საგანგებო პროპაგანდისტული თემები**
თემები, რომლებიც სპეციფიურმა ცალკეულმა მოვლენებმა წამოჭრა. პროექტზე მომუშავე გუნდი თვალს ადევნებდა მოვლენებსა და განცხადებებს, რომლებიც პროპაგანდისტული კამპანიის გააქტიურების საბაბი შეიძლებოდა გამხდარიყვნენ. EPRC-ის მიერ LG-ის მიერ შეგროვებული მონაცემების მოპოვებისა და ინფორმაციის დამუშავების შემდეგ, 2019 წლის მეორე და მესამე კვარტალში პროპაგანდის სამი საგანგებო თემა გამოიკვეთა:

თემა 1 – 2019 წლის პირველ მაისს საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა გაავრცელა წინააღმდეგობრივი განცხადება[5], რომელიც საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზის განთავსებას "ცუდ იდეად" აფასებდა. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა კორელაცია ამ განცხადებასა და პრო-რუსული და ექსტრემისტ-ნაციონალისტების განცხადებებს შორის. შემდგომმა ანალიზმა ასევე გამოაშკარავა, რომ ეს განცხადება ეხმიანებოდა პროპაგანდის ოთხივე პოზიციას და საფუძვლად დაედო მუდმივი პროპაგანდისტული ყველა თემის გარშემო გამართულ დისკუსიებს.

თემა 2 – 2019 წლის 4 მაისს „პატრიოტთა ალიანსმა" (პრო-რუსულმა საპარლამენტო ოპოზიციის პარტიამ) წამოიწყო კამპანია საქართველოს მიერ "მიუმხრობლობის" პოლიტიკის გამოცხადების მხარდასაჭე-

5 http://georgiatoday.ge/news/15452/Zurabishvili%3A-It-is-Not-Recommended-to-Build-US-Base-in-Georgia

	Eurasion Union	Human Rights	LGBT	Freedom	Immigration	NGO	Turkey	Soviet Nostalgia	War of 2008	Ukraine	Neutral Status	Other	Total
Russia	1341	1059	1264	1130	976	1020	593	590	613	615	634	442	10277
EU	1429	883	774	652	746	675	703	733	627	745	655	7	8629
NATO	1048	1185	535	562	672	606	812	813	718	691	680	7	8329
US	1001	470	596	575	707	607	639	546	643	590	590	14	6978
Other	819	623	601	718	495	681	173	213	236	194	219	0	4972
Total	5638	4220	3770	3637	3596	3589	2920	2895	2837	2835	2778	470	

სურათი 3: 43 დეზინფორმაციული ფეისბუკ-გვერდის მიერ 2017 წლის 1 იანვარსა და 2018 წლის 31 დეკემბერს შორის გამოქვეყნებული პოსტების რაოდენობრივი გადანაწილება პროპაგანდისტული პოზიციებისა და ხშირად განმეორებადი პროპაგანდისტული თემების მიხედვით.

რად[6], რაც წლების განმავლობაში ნატო-ს საწინააღმდეგო პროპაგანდისტული კამპანიის ერთ-ერთ ძირითადი მიმართულება იყო. პროექტის გუნდის მიერ აღნიშნული საკითხის პროპაგანდის მუდმივ თემებით გადასინჯვის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2019 წლის მეორე ნახევარში მან 43-ივე დეზინფორმაციული გვერდის დიდი გამოხმაურება გამოიწვია (იხ. სურ. 4-5). სტატისტიკურმა ანალიზმა ასევე ცხადყო, რომ ეს საკითხი აქტიურად განიხილებოდა ოთხივე პროპაგანდისტული პოზიციის ჩარჩოში, მათ შორის პრეზიდენტის ზემოხსენებულ განცხადებასთან ერთად.

თემა 3 – მართლმადიდებლური საპარლამენტთაშორისო ასამბლეის (კრემლის „რბილის ძალის“ ერთ-ერთი ცნობილი ინსტრუმენტის) ყრილობის საქართველოს პარლამენტში ჩატარების მცდელობამ 2019 წლის 20 ივნისს თბილისში მასშტაბური საპროტესტო აქციები გამოიწვია. ყრილობას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კომუნისტი დეპუტატი, სერგეი გავრილოვი თავმჯდომარეობდა. ანალიზმა აჩვენა, რომ ეს მოვლენაც პროპაგანდის ოთხივე პოზიციას ეხმიანებოდა და პროპაგანდის ყველა მუდმივი თემის გარშემო გამართული დისკუსიების საგნად იქცა.

6 https://metronome.ge/story/200272

	Patriots	Salome	Freedom	Immigration	Human Rights	LGBT	Eurasion Union	Neutral Status	War of 2008	NGO	Soviet Nostalgia	Ukraine	Turkey	Other	Total
Russia	109	145	216	190	202	203	170	221	208	179	120	108	117	182	2370
Other	78	69	179	180	169	171	158	202	182	163	63	78	58	0	1750
NATO	136	105	113	93	83	86	92	56	62	77	154	123	146	2	1328
EU	111	84	112	95	76	69	85	50	67	75	117	108	106	5	1160
US	109	107	87	79	74	70	89	63	67	78	101	124	104	3	1155
Total	543	510	707	637	604	599	594	592	586	572	555	541	531	192	

	Gavrilov	Patriots	Salome	NGO	Freedom	Immigration	Eurasion Union	LGBT	Neutral Status	Ukraine	Turkey	Human Rights	War of 2008	Soviet Nostalgia	Other	Total
Other	78	35	83	108	67	65	68	83	59	25	28	45	51	26	0	821
EU	40	43	46	61	54	54	45	35	46	39	39	45	40	44	11	642
US	24	69	33	44	69	21	29	39	40	68	58	44	43	57	1	639
NATO	37	40	50	59	53	55	55	34	41	36	36	44	33	47	11	631
Russia	38	35	33	50	49	50	37	38	39	53	56	39	43	33	13	606
Total	217	222	245	322	292	245	234	229	225	221	217	217	210	207	36	

სურათი 4 და 5: საგანგებო პროპაგანდისტული თემების კორელაცია ოთხ პროპაგანდისტულ პოზიციასთან და ძირითად პროპგანდისტულ თემებთან 2019 წლის მეორე ნახევარში.

შინაარსობრივი ხაზი

როგორც მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, კრემლის პროპაგანდის სტრატეგიული მიმართულებები საკმაოდ მოხერხებულად ესადაგებოდა ადგილობრივ კონტექსტს, საერთაშორისო და ქართული პოლიტიკის მოვლენებს, მაგალითად:

სტრატეგიული ნარატივი: მის საზღვრებთან მიახლოებით ნატო რუსეთს პროვოკაციას უწყობს.

საქართველოს კონტექსტი: უბლოკო სტატუსი საქართველოს უსაფრთხოების პრობლემებს გადაწყვეტს.

სტრატეგიული ნარატივი: რუსეთი გლობალური მასშტაბის მოთამაშეა, რომელიც მის ლეგიტიმურ ინტრესებს იცავს.

საქართველოს კონტექსტი: საქართველოს 2008 წლის სამხედრო პროვოკაცია არ უნდა დაეწყო.

პროექტის გუნდმა საგანგებო ყურადღება პროპაგანდისა და დეზინფორმაციის იმ ექვს თემას დაუთმო, რომლებსაც 2018 წლის ბოლოდან დეზინფორმაციული გვერდები ყველაზე ხშირად ახსენებდნენ და განიხილავდნენ: ევროკავშირი, ნატო, აშშ, ექსტრემისტი-ნაციონალისტები, ლგბტ და არასამთავრობო ორგანიზაციები. ქვემოთმოყვანილი ციფრები ასახავს ამ თემებით სოციალური მედიის ქართულ სეგმენტში გამოწვეულ აქტივობას (იხ. სურ. 6-11):
ამ საკითხების ხსენება გახშირდა საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად. სხვადასხვა პრო-რუსული და ანტი-დასავლური ჯგუფები საჯარო დისკუსიებში ანტაგონისტური განწყობების გაღვივების მაღალი პოტენციალის მქონე საკითხების განთავსებას ცდილობდნენ.
ასეთი იყო მაგალითად, 2008 წლის რუსულ-ქართული ომის დაწყებაში დამნაშავის







სურათი 6-11: ნატო-ს, ევროკავშირის, აშშ-ს, ნაციონალისტების, ლგბტ და არასამთავრობო ორგანიზაციების თემების გარშემო განვითარებული გაზრდილი დეზინფორმაციული აქტივობა 2017 წლის 1 იანვარსა და 2018 წლის 31 დეკემბერს შორის.

დადგენის საკითხი, რომელზეც მსჯელობა განსაკუთრებით აქტიურად 2018 წლის ბოლოს დაიწყო და 2019 წლის დასაწყისში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებასთან ერთად შეწყდა. დებატები მთავრობის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის განცხადებამ გამოიწვია. მან 2008 წლის აგვისტოში განვითარებული სამხედრო მოქმედებების დაწყება საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს დააბრალა[7]. ანალიზმა აჩვენა, რომ ხელისუფლების მიერ გავრცელებულ განცხადებებს სხვადასხვა ნაციონალისტური, პრო-რუსული და ანტი-დასავლური პროპაგანდის წყაროებიც იმეორებდნენ. პრო-დასავლური განწყობის მქონე ჯგუფებმა განცხადება საქართველოში რუსეთის ინტერესების გატარებისა და 2008 წლის სამხედრო აგრესიის გამართლების მცდელობად შეაფასეს. საქართველოს მთავრობის მიერ ზურაბიშვილის განცხადების გამართლების მცდელობამ საზოგადოებრივი აზრის პოლარიზაცია გააღრმავა[8].

2018 წლის ბოლო სამ თვეში პერმანენტული ხასიათი მიიღო მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მოწინააღმდეგე, პრო-რუსული ძალების კოორდინირებულმა თავდასხებმა პრო-დასავლურ არასამთავრობო ორგანიზაციებზე. კანდიდატ ზურაბიშვილისა და ხელისუფლების მიერ რუსულ-ქართულ ომზე დაფიქსირებული პოზიციის კრიტიკული პოზიციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებზე შეტევის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები LG-მ სწორედ დროის ამ პერიოდში აჩვენა.

2018 წლის ბოლო თვეებში, წინაასარჩევნო პოლიტიკურ დებატებში მართლმადიდებელი მრევლისა და კონსერვატორთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების მხარდაჭერის მოსაპოვებლად ტრადიციონალისტური და კონსერვატორული თემებით გახშირებულმა სპეკულაციამ ანტი-ლგბტქ და ჰომოფობიური რიტორიკის გამოყენების სიხშირეც გაზარდა (იხ. სურ-6-11).

ცალკეული ამბების ანალიზმა და ფაქტების გადამოწმებამ **ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკის** ორი ძირითადი სახეობა გამოკვეთა:

- **ევროპა არასაიმედო პარტნიორია:** ამ სახის გზავნილები ცდილობს ხაზი გაუსვას ევროპული ინტეგრაციის უპერსპექტივო ხასიათს და საქართველოს ეგრეთწოდებული პარტნიორების მიერ რუსეთის ინტერესების საქართველოზე მაღლა გარდაუვალ დაყენების შესაძლებლობის რეალურობას;
- **გარყვნილი ევროპა:** ღირებულებებზე დაფუძნებული გზავნილები9 ამტკიცებს, რომ ქართული ღირებულებები შეუთავსებელია ცხოვრების ევროპულ წესთან, შესაბამისად, ევროკავშირში ინტეგრაცია ქართული იდენტობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

ნატო-ს საწინააღმდეგო რიტორიკა უფრო მნიშვნელოვან და მრავალფეროვან გზავნილებს მოიცავს:

- **დასავლეთი არასაიმედო პარტნიორია:** 2008 წლის ომი გამოიყენება დასავლეთის მიერ საქართველოს დაცვის საქმეში უუნარობის საილუსტრაციოდ.

7 https://civil.ge/archives/253861

8 https://civil.ge/archives/257321

9 https://tinyurl.com/yxpwbtlv

- **ნატო საფრთხეს უქმნის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას:** კიდევ ერთი ყალბი მცდელობა ნატო-ში ინტეგრაციის დაკავშირებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებთან და მისი წარმოდგენა ცრუ დილემად წარმოდგენა - ან ნატო ან ტერიტორიული მთლიანობა.
- **ნატო - აგრესორი:** ნატო აგრესიული ორგანიზაციაა[10] და მისი მოქმედება რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის მსგავსი და საპირწონეა.

დეზინფორმაციულ გზავნილში თურქეთის ხსენება შესაძლებელია აღინიშნოს როგორც ნატო-სა და ზოგადად დასავლეთის საწინააღდეგო, ისე ექსტრემისტულ-ნაციონალისტურ პროპაგანდაში.

ანტი-ამერიკული დეზინფორმაცია და პროპაგანდა ხშირად შენიღბულია და ირიბ ხასიათს ატარებს. შესაბამისი გზავნილები კი ხშირად დეზინფორმაციის სხვა ნაკადებით ვრცელდება:

- გამოვლენილ შემთხვევათაგან ერთ-ერთი[11] აშშ-ს მიერ ქრისტიანობის წინააღმდეგ წამოწყებული ომის შესახებ შეთხზული შეთქმულების თეორების გავრცელებაა (რომლებშიც რუსეთი ქრისტიანობის დამცველის როლს თამაშობს);
- სხვა შემთხვევაში[12] ერთად იკვრება ფარული გზავნილები, რომლებიც ამერიკას, როგორც მსოფლიო ჰეგემონს, მსოფლიოსთვის რუსეთზე გაცილებით მეტი უბედურებისა და ნგრევის მოტანაში სდებს ბრალს.

ექსტრემისტული ნაციონალისტური ნარატივები პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გამოვლენილ მიმართულებათა შორის ყველაზე მოცულობითი, რეზონანსული და თემატური პოსტების რაოდენობითაც პირველია. ეს ნარატივი, როგორც წესი, იკვეთება ნატო-ს საწინააღმდეგო, ჰომოფობიურ, ანტი-ლიბერალურ და არასამთავრობო ორგანიზაციების მადისკრედიტებელ გზავნილებთან. პროექტზე მუშაობისას გამოაშკარავდა მსგავსი თემატიკის ნაციონალისტური ფეისბუკ ჯგუფების მიერ სახელის ხშირი ცვლა და ახალი ფეისბუკ პროფილების ინტენსიური ზრდა. ქვემოთ მოყვანილი სურათი (12) ნიმუშია მსგავსი აგრესიული რიტორიკისა.

EPRC-ის გუნდის პროექტზე მუშაობის შედეგად გამოვლინდა მთავრობისა და მმართველი პარტიის მიერ კონტროლირებადი მედია საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ორგანიზაციებზე მიზანმიმართული შეტევების ზრდადი ტენდენცია. ამ თემატიკის პოსტებს შორის ხშირად გვხვდება ჯორჯ სოროსის მადისკრედიტირებელი შეთქმულების თეორიებიც. ამ ტენდენციასთან თანხვედრაშია პრო-დასავლური მედიის, ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებასა და რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბის გამოყენებით ანტი-ლიბერალური ჯგუფებისთვის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში დადანაშაულება, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ სურათშია (13).

10 http://geworld.ge/ru/%D1%8D%D0%B9-%D0%BD%D0%B0%D1%82%D0%BE-%D1%82%D1%8B-%D0%B3%D0%B4%D0%B5/

11 https://www.facebook.com/erovnebaqartveli/photos/a.1922546738033094/2155915521362880/?type=3&theater

12 https://www.facebook.com/GeorgianNationalConservatives/posts/1947720121977968?__tn__=-R

სურათი 12: აგრესიული ჰომოფობიური პოსტის მაგალითი

სურათი 13: ანტი-დემოკრატიული რიტორიკის მაგალითი

სიძულვილის ენის გამოვლენისა და მისი **ანტი-დასავლურ** და **პრო-რუსულ** პროპაგანდისტულ პოზიციებთან შეფარდების მიზნით, პროექტის საბოლოო ეტაპზე, პროექტის გუნდმა 2017 წლის 1 იანვარსა და 2018 წლის 31 დეკემბერს შორის მოპოვებული მონაცემები შეისწავლა. **43** დეზინფორმაციული ფეისბუკ-გვერდის **401** საჯარო პოსტის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სიძულვილის ენა სხვადასხვა თემის მქონე პროპაგანდის განუყოფელი ნაწილი იყო. პროექტზე მომუშავე გუნდმა, მონაცემები მე-14 სურათზე მოყვანილ კატეგორიებად დაანაწილა.

სიძულვილის ენა და ანტი-დასავლური პოზიციები

სიძულვილის ენის გამოვლენისა და მისი ანტი-დასავლურ და პრო-რუსულ პროპაგანდისტულ პოზიციებთან შეფარდების მიზნით, პროექტის საბოლოო ეტაპზე, პროექტის გუნდმა 2017 წლის 1 იანვარსა და 2018 წლის 31 დეკემბერს შორის მოპოვებული მონაცემები შეისწავლა. 43 დეზინფორმაციული ფეისბუკ-გვერდის 401 საჯარო პოსტის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სიძულვილის ენა სხვადასხვა თემის მქონე პროპაგანდის განუყოფელი ნაწილი იყო. პროექტზე მომუშავე გუნდმა, მონაცემები მე-14 სურათზე მოყვანილ კატეგორიებად დაანაწილა.

სიძულვილის ენის შემცველი გზავნილების დაჯგუფება ფარდობითია, აღსანიშნავია კატეგორიების, პროპაგანდის თემატიკისა და პოზიციების მნიშვნელოვანი თანაკვეთა. სიძულვილის ენის შემცველი ფეისბუკის ეს პოსტები მიმართულია ავტორთა პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ ოპონენტთა წინააღმდეგ. პოსტები, რომლებიც ვერ შევიდა ზემოთჩამოთვლილ კატეგორიებში, დაჯგუფდა „სიძულვილის ენა მიმართული პოლიტიკურ ოპონენტთა წინააღმდეგ“ (35). ყველაზე ნაკლებად გამოყენებადი თემები სექსიზმი და გენდერული დისკრიმინაცია აღმოჩნდა (10).

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის ჩატარებისას გამოიკვეთა პირდაპირი კავშირი პროპაგანდის მოცულობასა და მიმდინარე მოვლენებს შორის (კატალიზატორის ეფექტი). ასეთი ეფექტის მაგალითი აღმოჩნდა 17 მაისი, ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის საწინააღმდეგო დღე. ამ დღეს სიძულვლის ენის შემცველი ჰომოფობიური გზავნილების განსაკუთრებით მაღალი რაოდენობა ფიქსირდება.



სურათი 14: შერჩეულ პოსტებს შორის ყველაზე მეტი (175) ჰომოფობიური შინაარსის იყო, თუმცა შეიცავდნენ ანტი-დასავლურ გზავნილებსაც, რიგ შემთხვევებში არასამთავრობო ორგანიზაციების საწინააღმდეგო დამოკიდებულება გამოიკვეთა.



სურათი 15: ჰომოფობიურ პოსტებს (175) 32478 გაზიარება და 56171 მოწონება აქვთ; ანტი-დასავლურ და პრო-რუსულ პოსტებს (106) 8076 გაზიარება და 13600 მოწონება და ა.შ. ამგვარად, შესაძლებელია განვაცხადოთ, რომ ჰომოფობია სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი თემაა.

საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა. 2019 წლის 17 მაისს ლგბტქ აქტივისტების მიერ დაგეგმილი ღონისძიებები მთავრობის მიერ მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის მოხსნის შემდეგ გაუქმდა.

სიძულვილის ენის შემცველმა ამ 401 პოსტმა 11000 გაზიარება და 98000 მოწონება დააგროვა. როგორც ამას ქვემოთ მოყვანილი სურათი გვაჩვენებს, ყველაზე დიდი პოპულარობით სწორედ ჰომოფობიური პოსტები გამოირჩეოდნენ.

გაზიარებათა ყველაზე დიდი რაოდენობა (6200) „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის, გიორგი გიგაურის პოსტმა დააგროვა. პოსტი ხალხს რუსთაველის გამზირზე გასამართ აქციაზე გასვლისკენ მოუწოდებს: „მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ ქართველები არასდროს ურევენ ერთმანეთში უკანალისა და ერის თავისუფლებას.“

ყველაზე მეტი მოწონება (10000) იგივე ავტორის ასევე ჰომოფობიურ ფეისბუკ-პოსტს აქვს. პოსტი შეიცავს ინფორმაციას რეგიონული ტელევიზიის ჟურნალისტის შესახებ, რომელსაც სამსახურის დატოვება ლგბტქ თემის წარმომადგენელთა მიუღებლობის გამო მოუწია. პოსტში ლგბტქ თემის წარმომადგენლები და უფლებადამცველები „იუდებად“ და „ქრისტეს მოღალატეებად“ იწოდებიან.

გაზიარებათა საშუალო მაჩვენებლით ჰომოფობიური პოსტები ლიდერობენ, ხოლო მოწონებათა საშუალო მაჩვენებლით, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა საწინააღმდეგო პოსტები. ოპოზიციისადმი სიძლვილის ენის გამოყენების მქონე პოსტებს საშუალოდ 407.7 ლაიქი ჰქონდათ.

ჰომოფობია (175 პოსტი): „ქათამი“, „ბებერი გეი“, „ტვინგამორეცხილი“, „ავადმყოფი

სული“,“სატანური გეი-ფესტივალი“, ასეთია ჰომოფობიური გზავნილების გამავრცელებელთა მიერ ხშირად გამოყენებული ლექსიკის მოკლე ჩამონათვალი.

ანტი-დასავლური და პრო-რუსული ნარატივები (106 პოსტი): ჰომოფობიას ასეთ პოსტებშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს (იხილეთ კომენტარები ქვემოთ) ნინო შარაბიძე: აი, ასეთი გონებაჩლუნგები არიან სოროსის ლეკვები!.. ე. ი. იმდენად გაუნათლებლები და უვიცები არიან სოროსის ძუძუს სულგაყიდული გოჭები, რომ ვერც ხვდებიან ისეთ ურთიერთგამომრიცხავს მოითხოვენ!.. ... „ჩვენთვის მთავარია სიტყვის თავისუფლებაო“ და ამ დროს უნდა დაბლოკოთ რუსეთი და რუსული ნარატივის მატარებლებიო..... კი მაგრამ, რა შუაშია რუსეთი, როცა LGBT-ების ჯლიგინი და აღლუმები მთელი ერისთის მიუღებელია?! მაგრამ აქ მთავარია რუსეთთან ბრძოლა, ხოლო სიტყვის თავისუფლება კი, მხოლოდ ამათი შ ი რ მ ა ა!..“

ალექსანდრე ერქვანიას ფეისბუკ პოსტის მაგალითი (ქართული ოცნება, დეპუტატი), მიუხედავად ნაკლებად აგრესიული ტონისა, ყურადღებას ისიც დასავლეთზე ამახვილებს: „ქვეყანაში დაანონსებული LGBTQ პრაიდის ჩატარება, რომელიც თურმე ე.წ. ღირსების მარშით უნდა დასრულდეს, საქართველოს მოსახლეობის დაცინვა და შეურაცხყოფაა. ეს არის მიზანმიმართული პროვოკაცია და მცდელობა ქართველი ერის ღირსების შელახვის. მივმართავ საქართველოს მთავრობას, მიუხედავად გარე თუ შიდა ძალების მხრიდან მიმდინარე არნახული ზეწოლისა, არ დაუშვას ქვეყანაში უზნეობის პროპაგანდა და გეი აღლუმი. მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ ქართველი ერი ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ქვეყანას, ღირსებასა და ზნეობას არასდროს უღალატებს, რომ საქართველოში უზნეობა ვერასდროს გაიმარჯვებს, ვინც არ უნდა უჭერდეს მხარს.“



სურ. 16: პოლიტიკური ოპონენტების მიმართ სიძლვილის ენის შემცველი პოსტები

დეზინფორმაციის უარყოფა

საქართველოს საინფორმაციო სივრცეში მიმდინარე ტენდენციები და მოვლენები დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მწვავე საჭიროებას ცხადყობს. პროექტის გუნდმა დაგეგმა და განახორციელა რიგი ღონისძიებებისა, რომელთა მიზანი საქართველოს მოქალაქეების დეზინფორმაციული კამპანიების დამღუპველი შედეგების შესახებ ინფორმირება იყო.

არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულმა მაკკეინის ინსტიტუტმა და EPRC-იმ კვლევის პირველადი შედეგები საზოგადოებას 2017 წლის 27 მაისს გააცნეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში საინფორმაციო უსაფრთხოების გაუმჯობესებაში აქტიურად ჩართული პოლიტიკოსები, საქართველოს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას განემარტა ჩატარებული კვლევის დეტალები, განხილულ იქნა საქართველოს საინფორმაციო სივრცეში დეზინფორმაციის გაუვნებელყოფის შესაძლო ერთობლივი ზომები.

2019 წლის 8 ივლისს, პროექტის გუნდმა კვლევის შედეგები სამოქალაქო საზოგადოების, ამერიკისა და სხვა ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენლებს ვაშინგტონში გააცნო. საქართველოში დაბრუნებისას შედეგების შუალედური ანალიზი წარედგინა საქართველოს საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკაზე მომუშავე მოხელეებს, საქართველოსა და სხვა ქვეყნის მთავრობათა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

2019 წლის 31 აგვისტოს პროექტის დამთავრების შემდეგ, კვლევის შედეგები განხილულ იქნა თბილისის მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მაკკეინის ინსტიტუტისა და EPRC-ის მიერ ერთობლივად ორგანიზებული ღონისძიებაა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მაღალი თანამდებობის პირები, ნატო-ს წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები და ჟურნალისტები შეერთებული შტატებიდან, ევროპის ქვეყნებიდან და საქართველოდან.

დეზინფორმაციის გაუვნებელყოფისა და ინფორმაციის კრიტიკული შეფასების უნარების ამაღლების კამპანიის ფარგლებში EPRC-ის პარტნიორი სამაუწყებლო კამპანია რუსთავი-2 იყო. სატელევიზიო არხის სხვადასხვა გადაცემაში მონაწილეობის გზით პროექტის გუნდი შეეცადა რუსული დეზინფორმაციის კამპანიების შესახებ ინფორმაცია ქართველი მაყურებლების მაქსიმალური რაოდენობისთვის მიეწვდინა და გაეცნო მათთვის პროპაგანდისტული და/ან ყალბი ინფორმაციის ამოცნობის ხერხები. პროექტის შედეგები რუსთავი-2-ის ექვს თოკ-შოუში წარსდგა. გთავაზობთ პროექტის გუნდის მიერ ქართული აუდიტორიისათვის კვლევის შედეგების გაცნობის რამდენიმე მაგალითს:

- 2019 წლის 5 მაისს, რუსთავი2-ის გადაცემა „კვირის შუადღეს“ სტუმრობდა EPRC-ის უსაფრთხოების პოლიტიკის კვლევის ხელმძღვანელი შოთა ღვინერია13. დისკუსია შეეხო დეზინფორმაციის განვითარების თანამედროვე დინამიკას, რუსული საინფორმაციო პოლიტიკის რეგიონულ და გლობალურ მიზნებსა და პროპაგანდის მიმართულებებს, ამერიკელ პარტნიორებთან ერთად ჩატარებული კვლევის

13 http://rustavi2.ge/ka/video/42590?v=2&fbclid=IwAR3YAqa_MNzKxXxyjxO4K0r0FQISt KoJLYuATtt5tREfiaGg5-5t-2d6BDk

#Disinformation=weapon

უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში 43 წყარომ ანტი-დასავლური პროპაგანდის შემცველი 44043 პოსტი გამოაქვეყნა

#Half-Truth=lie

დავსვათ კრიტიკული კითხვები

#CheckTheSource

რამდენად სანდოა ინფორმაციის გამავრცელებელი ორგანიზაცია ან პირი?

#CheckTheFacts

რას გვაჩვენებს მონაცემები და ინფორმაციის წყარო?

#Opinion ≠Fact

განვასხვავოთ ერთამანეთისგან მოსაზრებისა და ფაქტების შემცველი ინფორმაცია.

#Analyze

დეზინფორმაციის რეზონანსი და ეფექტურობა საგანგაშოდ მაღალია: 127,506 მოწონება და 345,323 გაზიარება

#Dontbetricked

სურათი 17: EPRC-ის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში შექმნილი ჰეშთეგების მაგალითები

შედეგად გამოვლენილ საქართველოში არსებული ვითარებას.

- 12 მაისს, „კვირის შუადღის“ სტუმარი იყო EPRC-ის აღმასრულებელი დირექტორი ნინო ევგენიძე, რომელმაც ტელეარხის მაყურებლებს პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები გააცნო14. ნინომ ისაუბრა რუსული “რბილი ძალის“ თვისებებსა და ხასიათზე, არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მაკკეინის ინსტიტუტის უნივერსიტეტის დახმარებით კვლევაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მნიშვნელობაზე და საქართველოში სტრატეგიული კომუნიკაციისთვის მის მნიშვნელობაზე.
- 27 მაისს, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ნაშუადღევში“ შოთა ღვინერიამ საქართველოში დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიმდინარე ვითარებაზე ისაუბრა[15]. საუბარი შეეხო მსოფლიოში კომუნიკაციის სფეროში არსებულ უახლეს ტენდენციებს, სოციალურ მედიაში გავრცელებულ სხვადასხვა დეზინფორმაციულ კამპანიებს და დეტალებს, რომლებიც თან ახლავს დეზინფორმაციასთან ბრძოლას დემოკრატიულ საზოგადოებებში.

სატელევიზიო გადაცემების გარდა, რუსთავის-2-ის ეთერში გავიდა პროექტის ფარგლებში დამზადებული ორი ვიდეორგოლი, რომელთა მიზანი მაყურებლების დეზინფორმაციის საფრთხის და საინფორმაციო ჰიგიენის დაცვისთვის მისაღები ზომების შესახებ ინფორმირება იყო. შეიქმნა და გავრცელდა სპეციალური ჰეშთეგები, რომელთა დანიშნულება საზოგადოებისთვის

14 http://rustavi2.ge/ka/video/42813?v=2&fbclid=IwAR1IKJX6_3RVBboDDNSW02ym8DZtiMFkOeUXGMdDIPfS2VTKtcJLV8zm3Y

15 https://1tv.ge/video/ra-gavlenas-akhdens-dezinformacia-adamianebis-ckhovrebaze-da-politikaze/?fbclid=IwAR3t_AacWqcENygr5NmdKTJu4cHfFFuL8dCETJm4AhuuO9o0NLrtUrpzHTo

დეზინფორმაციული კამპანიების ყველაზე დაუცველი სამიზნეების მინიშნება იყო (იხ. სურ17). ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით რეგულარულად ეთმობოდა ეთერი სპეციალურ განცხადებებს[16].

დეზინფორმაციული კამპანიების მუდმივი და საგანგებო თემების EPRC-ის მიერ ანალიზმა ცხადყო რომ საქართველოს დასავლური კურსისა და მოკავშირეების დისკრედიტაციის მიზნით ექსტრემისტ ნაციონალისტთა ჯგუფები ოთხივე პროპაგანდისტულ პოზიციას იყენებენ. ამ ჯგუფის ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია - საზოგადოება უკიდურესად პოლარიზებულია. მთავრობის მხარდამჭერთა ჯგუფები საზოგადოებრივი მღელვარების გამოწვევაში ოპოზიციას სდებენ ბრალს, ოპონენტები კი მთავრობას რუსული გავლენის გაძლიერებისთვის ხელსაყრელი პირობების მიზანმიმართულად შექმნაში ადანაშაულებენ. EPRC-ის ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ ანტი-დასავლური და მთავრობასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულ ჯგუფთა დღის წესრიგი ხშირად იდენტურია. ეს დამთხვევა განსაკუთრებით თვალშისაცემი პრო-დასავლურ სამოქალაქო საზოგადოებაზე, მედიასა და ოპოზიციაზე მიტანილი იერიშის დროსაა, როგორც ეს გავრილოვის კრიზისის შემდეგ მოხდა, როცა ამ ჯგუფებიდან წამოსულ ძალადობისკენ მოწოდებებს სამთავრობო ინსტიტუტების უმოქმედობა მოჰყვა. ხელისუფლების დუმილი განსაკუთრებით შესამჩნევი იყო 20 ივნისს, ანტი-საოკუპაციო მოძრაობის აქტივისტების მიმართ პოლიციის მიერ ძალისმიერი მეთოდების გადამეტებით გამოყენების ფონზე. დეზინფორმაციის გავლენისა და მოცულობის ზრდის ფონზე მთავრობის უმოქმედობა ქვეყნის გარშემო საგანგაშო ტენდენციების გამომწვევი გახდა და შედეგად მივიღეთ:

- საზოგადოების უპრეცედენტო პოლარიზაცია;
- პრო-დასავლური, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ მედიაზე, სამოქალაქო საზოგადოებასა და ოპოზიციაზე ექსტრემისტ ნაციონალისტთა დაუსჯელი თავდასხმები;
- სიძულვილის ენის გამოყენებისა და ძალადობის წაქეზება;
- პრო-რუსული პოზიციების მარგინალური მდგომარეობიდან გამოყვანა და ბანალიზაცია.

შესწავლილი ტენდენციები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ რუსული და მათთან დაკავშირებული საშინაო, მათ შორის ამ კვლევის განმავლობაში ზედამხედველობის ქვეშ მყოფი, წყაროებიდან მომავალი პროპაგანდის გაძლიერება. მათი მიზანი საზოგადოების პრო-დასავლური განწყობების ეროზიაა. ამ ეტაპზე რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლის ავანგარდი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაა. კრემლის მზარდი წნეხი მიგვანიშნებს, რომ საჭიროა საქართველოს დასავლელი პარტნიორების გააქტიურება, ქვეყნის შიგნით არსებული პროგრესული ძალების მხარდაჭერის გაძლიერება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ მოხსენებაში გამოვლენილი საფრთხისშემცველი ტენდენციების შესაქცევად.

16 https://drive.google.com/file/d/1kAGxYeqy3RTrJRjwqgDoVa44ZpEQ5KRk/view?usp=sharing

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

McCain Institute
Arizona State University